ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5043802

ნომერი: AR1760902

თარიღი : 16.07.2020

გაცემის თარიღი : 29.07.2020

გაცნობის თარიღი : 29.07.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი, N 53ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ბაღათურია პ/ნ 62001035451
- სოხუმი გუმისთის N 12 ბ. 5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 14 მაისის №4947709 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 16 ივლისს №AR1760902 განცხადებით მომართა ზურაბ ბაღათურიამ და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 14

მაისის №4947709 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 14 მაისის №4947709 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირი №53ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.13.04.004.016), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული განმხილველი კომისიის სხდომის 2019 წლის 18 ნოემბრის №9 ოქმის საფუძველზე დამუშავებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 17 ივლისის №5028545 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 17 ივლისიდან 2021 წლის 17 ივლისის ჩათვლით
წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს, ცვლილების შეტანას 2020 წლის 14 მაისის №4947709 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ განმცხადებელს სურს საცხოვრებელ ფართობად 12791.9 კვ.მ-ის ნაცვლად 12791.7 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 2600.8 კვ.მ-ის ნაცვლად 2677.5 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 755.6 კვ.მ-ის ნაცვლად 755.3კვ.მ-ის, საერთო ფართობად 24741.4 კვ.მ-ის ნაცვლად 24817.6 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ გეგმებზე ხდება ფართობების დაზუსტება.
საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაცია: №882020101013 მომზადების თარიღი: 10/02/2020 წ.) ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირი №53ა-ში, №01.13.04.004.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,ცერერა''(საიდენტიფიკაციო ნომერი: 220355835). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: №B20030216, მომზადების თარიღი: 23/04/2020 წ.) მიხედვით, შპს ,,ცერერა''-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 220355835) დირექტორს წარმოადგენს ბესიკი ხაინდრავა (პ/ნ: 19001002938). 2020 წლის 15 ივლისის №AR1760726 განცხადებაზე წარმოდგენილია ბესიკი ხაინდრავას მიერ განმცხადებლის - ზურაბ ბაღათურიას სახელზე გაცემული 2020 წლის 10 თებერვლის №17 მინდობილობა, რომელიც გულისხმობს მინდობილი პირის წარმომადგენლობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში. შესაბამისად დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს. ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2020 წლის 14 მაისის №4947709 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 14 მაისის №4947709 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და კომერციულ ფართობად დაფიქსირდეს 755.3 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად 12791.7 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 2677.5 კვ.მ., საერთო ფართობად 24817.6.კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 14 მაისის №4947709 ბრძანებით შეთანხმებული 0.00, +5.90, +9.20, +12.40, +15.80, +19.10, +22.40, +25.70, +29.00, +32.30, +35.60, +38.90, +42.20, +45.50, +48.80, +52.10, +55.40, +58.70, +62.00 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 14 მაისის №4947709 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 14 მაისის №4947709 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.